



საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სახელმძღვანელო მითითებები კონცენტრაციების კონტროლთან დაკავშირებით

*დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის
„საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ექსპერტების
მხარდაჭერით*

სახელმძღვანელო მითითებები კონცენტრაციების კონტროლთან დაკავშირებით

შინაარსი

1. შესავალი.....	2
2. კონცენტრაციის კონცეფცია	2
3. დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების შერწყმა	2
4. კონტროლის მოპოვება.....	3
4.1. კონტროლის კონცეფცია	3
4.1.1. პირი ან ეკონომიკური აგენტი, რომელიც იძენს კონტროლს.....	3
4.1.2. კონტროლის საშუალებები.....	3
4.1.3. კონტროლის ობიექტი	4
5. ერთპიროვნული კონტროლი	7
6. ერთობლივი კონტროლი	8
6.1. თანასწორობა ხმის უფლებაში ან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში პირთა დანიშვნებისას.....	9
6.2. ვეტოს უფლება	9
6.4. ერთობლივ კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები	10
8.2. მშობელი კომპანიის კონკრეტული ფუნქციის გარდა წარმოებული სხვა საქმიანობები	12
8.4. ფუნქციონირება მუდმივ რეჟიმში	13
8.5. ცვლილებები ერთობლივი საწარმოს საქმიანობაში	14
9. ზღვრული კრიტერიუმები	14
9.1.1. შერწყმა.....	16

1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების მიზანია კონცენტრაციების კონტროლთან დაკავშირებულ იურიდიული საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებების განსაზღვრა. ისინი დაეხმარებიან პირებს იმის დადგენაში, ექვემდებარება თუ არა და რა მასშტაბით, მათი ოპერაციები კონცენტრაციების კონტროლს.

კონცენტრაციების კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ტრანზაქციებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ორ პირობას. უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტრანზაქცია, რათა იგი შეფასდეს კონცენტრაციად და მეორე, შესაბამის პირთა (იგულისხმება „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირთა წრე) ერთობლივი შემოსავალი უნდა აკმაყოფილებდეს ამავე წესის მე-3 მუხლით დადგენილ ზღვრულ კრიტერიუმებს. კონცენტრაციის ცნება (მათ შორის კონკრეტული მოთხოვნები ერთობლივი საწარმოებისათვის), როგორც პირველი პირობა, განხილულია წინამდებარე სახელმძღვანელოს II-VIII ნაწილებში, ხოლო კონცენტრაციაში მონაწილე პირთა იდენტიფიკაცია და მათი ერთობლივი შემოსავლის გაანგარიშება განხილულია წინამდებარე სახელმძღვანელოს IX-XI ნაწილებში.

2. კონცენტრაციის კონცეფცია

კონცენტრაცია მოიცავს ოპერაციებს, სადაც შესაბამის ეკონომიკურ აგენტებზე კონტროლის მოპოვება ან/და ცვლილება ხდება ხანგრძლივი დროით.

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს სამი სახის კონცენტრაციას:

- ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება; ;
- ფასიანი ქაღალდების ან წილის შექმნით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;
- ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

3. დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების შერწყმა

შერწყმას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც:

- ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე ერთიანდება ახალი ეკონომიკური აგენტის

სახით და წყვეტს არსებობას როგორც ცალკეული იურიდიული პირი (გაერთიანება);

- ეკონომიკურ აგენტს ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე შთანთქავს სხვა სუბიექტი, რომელიც ინარჩუნებს იურიდიულ იდენტობას ხოლო პირველი წყვეტს არსებობას, როგორც იურიდიული პირი (მიერთება).

4. კონტროლის მოპოვება

4.1. კონტროლის კონცეფცია

4.1.1. პირი ან ეკონომიკური აგენტი, რომელიც იძენს კონტროლს

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონცენტრაციას წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვებაც. ამგვარი კონტროლი შეიძლება მოიპოვოს როგორც ერთმა ან რამდენიმე ეკონომიკურმა აგენტმა, ასევე სხვა ერთმა ან რამოდენიმე პირმა, რომელიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის ეკონომიკური აგენტი და რომელიც ერთპიროვნულად ან სხვა პირებთან ერთად აკონტროლებს სულ მცირე ერთ სხვა ეკონომიკურ აგენტს. „პიროვნების“ ცნება შეიძლება მოიცავდეს ადმინისტრაციულ ორგანოებს, კერძო ორგანიზაციებს ან ფიზიკურ პირებს. ფიზიკური პირის მიერ კონტროლის მოპოვება, როგორც კონტროლის გრძელვადიანი ცვლილება, განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას (ამრიგად, ეს სუბიექტები თავად წარმოადგენენ ეკონომიკური აგენტებს) ან თუ აკონტროლებენ სულ მცირე ერთ, სხვა ეკონომიკურ აგენტს.

კონტროლს ჩვეულებრივ იძენენ პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლება ან შესაბამისი უფლებამოსილება, განახორციელონ კონტროლი ხელშეკრულების საფუძველზე.

4.1.2. კონტროლის საშუალებები

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ადგენს კონტროლის ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმადაც კონტროლი არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებაზე და იმავედროულად: 1) პირი ფლობს ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დანიშნოს მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა; 2) პირი ფლობს საოპერაციო აქტივებს მთლიანად ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს; 3) პირი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი; 4) პირს აქვს მნიშვნელოვანი ხმის უფლება გარიგებებზე. აქედან გამომდინარე, არ არის აუცილებელი იმის დემონსტრირება, რომ არსებითი გავლენა

რეალურად ხორციელდება. თუმცა, ამ გავლენით სარგებლობის შესაძლებლობა უნდა იყოს ეფექტიანი და დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტაციით.

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ არსებითი გავლენის (კონტროლის) მოპოვება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების ან წილების შეძენით, ასევე ხელშეკრულებების საფუძველზე ან სხვაგვარად. კონტროლს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იურიდიულ ან ფაქტობრივ საფუძველზე, შეიძლება გააჩნდეს ერთპიროვნული ან ერთობლივი კონტროლის ფორმა¹, გავრცელდეს ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე მთლიანად ან ნაწილობრივ².

როდესაც კონტროლის მოპოვება ხდება შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის მენეჯმენტისა და რესურსების ისეთივე ხარისხის კონტროლი, როგორც მაგალითად, იქნებოდა აქციების ან აქტივების შეძენის შემთხვევაში. მენეჯმენტსა და რესურსებზე კონტროლის გადაცემის გარდა, ასეთი კონტრაქტები უნდა ხასიათდებოდეს ხანგრძლივი მოქმედების ვადით (ვადაზე ადრე მისი შეწყვეტის შესაძლებლობის გარეშე). მხოლოდ ასეთმა კონტრაქტებმა შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის სტრუქტურის ცვლილება.

კონტროლი ასევე შეიძლება დაწესდეს სხვა საშუალებით (სხვაგვარად). წმინდა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს კონტროლის მოპოვებაში. კონტროლის მოპოვება შესაძლოა განხორციელდეს მაშინაც კი, თუ ეს არ არის მხარეთა გაცხადებული განზრახვა ან თუ კონტროლის შემძენი პასიურია და მისი მოპოვება გამოწვეულია მესამე მხარის ქმედებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტუაციები, როდესაც კონტროლის ცვლილება ხდება აქციონერის მემკვიდრეობით ან როდესაც აქციონერის გასვლა იწვევს კონტროლის ცვლილებას, კერძოდ, ერთობლივი კონტროლიდან ერთპიროვნულ კონტროლზე გადასვლას.

4.1.3. კონტროლის ობიექტი

როგორც უკვე აღინიშნა, „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, ამასთან, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აგრეთვე საწარმოს შემადგენელი ნაწილ(ებ)ი, ასევე, სამოქმედო აქტივები ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი. აქტივებზე კონტროლის მოპოვება შეიძლება ჩაითვალოს კონცენტრაციად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტივები შეადგენენ მთლიან ეკონომიკურ აგენტს ან მის ნაწილს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ბაზარზე წარმომადგენლობის მქონე ბიზნესი, რომელსაც აშკარად შეიძლება დაუკავშირდეს ბაზრის ერთობლივი შემოსავალი. ტრანზაქცია, რომელიც შემოიფარგლება არამატერიალური აქტივებით, როგორცაა

¹ „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონტროლი შეიძლება მოიპოვოს ერთმა ან მეტმა ეკონომიკურმა აგენტმა.

² კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონტროლი შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

ბრენდები, პატენტები ან საავტორო უფლებები, ასევე შეიძლება ჩაითვალოს კონცენტრაციად, თუ ეს აქტივები წარმოადგენს ბიზნესს, რომელსაც გააჩნია საბაზრო ერთობლივი შემოსავალი.

4.1.4 კონტროლის გრძელვადიანი ცვლილება

„კონკურენციის შესახებ“ კანონის 11² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „სააგენტოსთვის კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ კონტროლი მოიპოვება დროებით, იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული წილის ფლობით მოპოვებული უფლებები (მათ შორის, ხმის უფლება), გარდა ინფორმაციის მიღების, წილის/აქციების გაყიდვისა და დივიდენდის მიღების უფლებებისა და სესხის უზრუნველყოფის შემთხვევაში საკუთრებაში მიღების უფლებისა. თუმცა, გრძელვადიან საფუძველზე კონტროლის ცვლილებას არ გამორიცხავს ის ფაქტიც, რომ ძირითადი ხელშეკრულებები მოქმედია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, თუმცა იმ პირობით, რომ ეს ხელშეკრულებები ექვემდებარება განახლებას ან მათში გათვალისწინებული ვადები საკმარისად ხანგრძლივია იმისათვის, რომ გამოიწვიოს დაინტერესებული ეკონომიკური აგენტის კონტროლში გრძელვადიანი ცვლილება.“

ანალიზი იმისა, იწვევს თუ არა ოპერაცია გრძელვადიან ცვლილებებს, ასევე მნიშვნელოვანია თანმიმდევრულად შესრულებული რამოდენიმე ოპერაციის შესაფასებლად. აღნიშნულ კონტექსტში მოყვანილია ქვემოთ მოცემული სამი მაგალითი:

1 მაგალითი: რამდენიმე კომპანია გაერთიანდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეიძინოს სხვა კომპანია სათანადო შეთანხმების საფუძველზე, შეძენილი აქტივების გაყოფის შესახებ წინასწარ არსებული გეგმის მიხედვით, გარიგების დასრულებისთანავე; კონცენტრაცია შეიძლება ჩაითვალოს არსებულად, თუ: 1) შემდგომი დაყოფა შეთანხმებულია სამართლებრივად სავალდებულო წესით; 2) არ არსებობს გაურკვევლობა მეორე ეტაპთან დაკავშირებით; 3) ჩვეულებრივ, აქტივების გაყოფის მაქსიმალური ვადა არის ერთი წელი.

2 მაგალითი: ოპერაცია იწვევს ერთობლივი კონტროლის მოპოვებას საწყისი პერიოდის განმავლობაში, თუმცა სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებების თანახმად, ეს ერთობლივი კონტროლი გადაიქცევა ერთ-ერთი პირის ერთპიროვნულ კონტროლად. ვინაიდან, ერთობლივი კონტროლის მდგომარეობა არ წარმოადგენს ხანგრძლივ ცვლილებას კონტროლის ხარისხში, მთელი ტრანზაქციების ერთობლიობა ჩაითვლება ერთპიროვნული კონტროლის მოპოვებად.

3 მაგალითი: კომპანია გადაეცემა დროებით მყიდველს, ყველაზე ხშირად ბანკს, ბიზნესის შემდგომი საბოლოო შემსყიდველზე მიყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე. ტრანზაქცია, რომლის დროსაც შუალედური შემძენი იძენს კონტროლს ამგვარ გარემოებებში, არის პირველი ნაბიჯი ერთიანი კონცენტრაციისთვის, რომელიც მოიცავს საბოლოო შემძენის მიერ კონტროლის გრძელვადიან მოპოვებას.

4.1.5. ტრანზაქციების ერთობლიობა, როგორც ერთიანი კონცენტრაცია

კონტროლის მოპოვება შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის საშუალებით, იმ პირობით, რომ კონცენტრაცია განხორციელებულად ითვლება საბოლოო ტრანზაქციის შესრულებით. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „თუ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ტრანზაქციის საშუალებით, უწყვეტი 2 (ორი) კალენდარული წლის განმავლობაში კონტროლის მოპოვებელ პირს/ პირებს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ ბოლო ტრანზაქციის განხორციელებამდე. ამასთან, ასეთ შემთხვევებში კონცენტრაციად განიხილება ამ ტრანზაქციების ერთობლიობა და იგი განხორციელებულად ითვლება ბოლო ტრანზაქციის შესრულებით.“ ამასთან, ორი ან მეტი ტრანზაქცია წარმოადგენს ერთ კონცენტრაციას, თუ ისინი უნიტარული ხასიათისაა. მოცემული ტრანზაქციების უნიტარული ბუნების დასადგენად, საჭიროა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, დადგინდეს, არის თუ არა ეს გარიგებები ურთიერთდამოკიდებული იმგვარად, რომ ერთი გარიგების განხორციელება მეორის გარეშე შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული პირობებით შეკრული ოპერაციები განიხილება, როგორც ერთიანი კონცენტრაცია.

თუ სხვადასხვა ტრანზაქციები არ არის ურთიერთდამოკიდებული და თუ მხარეები განაგრძობენ ერთ-ერთი ტრანზაქციის შესრულებას მიუხედავად იმისა, შესრულდა თუ არა დანარჩენი, ეს ტრანზაქციები კონცენტრაციების კონტროლის მიზნებისათვის ფასდება ცალ-ცალკე.

თუმცა, რამდენიმე ტრანზაქცია, თუნდაც დაკავშირებული იყოს გარკვეული პირობით, შეიძლება განიხილებოდეს როგორც ერთი კონცენტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ კონტროლს მოიპოვებს ერთი და იგივე ეკონომიკური აგენტი/აგენტები. ამრიგად, მაგალითად, ერთობლივი საწარმოს გაყოფა, რომლითაც ეკონომიკური აგენტის სხვადასხვა ნაწილები იყოფა მის ყოფილ მშობელ კომპანიებს შორის, განიხილება როგორც განცალკევებული კონცენტრაციები.

რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვება რაც თავისთავად შეიძლება ცალკეულად წარმოადგენდეს კონცენტრაციებს, შესაძლოა ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს იმგვარად, რომ ქმნიდეს ერთ კონცენტრაციას. მსგავსი მაგალითები მოცემულია ქვემოთ:

1 მაგალითი: კონტროლის პარალელური მოპოვება, როდესაც A კომპანია იძენს კონტროლს B და C კომპანიებზე პარალელურად სხვადასხვა გამყიდველებისგან იმ პირობით, რომ არც A არის ვალდებული იყიდოს და არც გამყიდველი არის ვალდებული გაყიდოს, ვიდრე ორივე ტრანზაქცია არ განხორციელდება.

2 მაგალითი: კონტროლის სერიული შეძენა, ე.ი. A კომპანია იძენს კონტროლს B კომპანიაზე იმ პირობით, რომ B-ს მიერ C კომპანიის წინასწარი ან ერთდროული შეძენა მოხდება.

4.1.6. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების სერია, როგორც ერთიანი კონცენტრაცია

კონცენტრაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევებშიც, როდესაც კონტროლი ეკონომიკურ აგენტზე მოიპოვება ფასიანი ქაღალდებზე განხორციელებული ოპერაციების სერიით ერთი ან რამდენიმე გამყიდველისაგან, რომელიც ხორციელდება გონივრულად მოკლე ვადაში. კონცენტრაცია ასეთ შემთხვევაში არ შემოიფარგლება ერთი გადაწყვეტილი წილის შეძენით, არამედ მოიცავს ყველა ტრანზაქციას ფასიანი ქაღალდების შესაძენად, რომელიც ხორციელდება გონივრულად მოკლე დროში.

5. ერთპიროვნული კონტროლი


ერთპიროვნულ კონტროლს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთ პირს დამოუკიდებლად შეუძლია გავლენა იქონიოს კონტროლს დაქვემდებარებულ ეკონომიკურ აგენტზე. შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი სიტუაცია, როდესაც სახეზეა ერთპიროვნული კონტროლის ფლობა:

- ერთპიროვნულად მაკონტროლებელი პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, განსაზღვროს სხვა ეკონომიკურ აგენტის სტრატეგიული კომერციული გადაწყვეტილებები (ჩვეულებრივ მიიღწევა ხმათა უმრავლესობის მოპოვებით).

- მხოლოდ ერთ წილის მფლობელ პარტნიორს/აქციონერს შეუძლია ვეტო დაადოს ეკონომიკურ აგენტის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მას ამგვარი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება არ გააჩნია (უარყოფითი ერთპიროვნული კონტროლი).

ერთპიროვნული კონტროლი შეიძლება მოპოვებული იყოს იურიდიულ ან ფაქტობრივ საფუძველზე. იურიდიულ საფუძველზე მოპოვებულ ერთპიროვნულ კონტროლს, როგორც წესი, ადგილი აქვს, როდესაც პირი იძენს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების/წილების უმრავლესობას. კონტროლის უფლების მოპოვებისათვის სუბიექტის მიერ შეძენილი წილები/აქციები უნდა მოიცავდეს ხმათა უმრავლესობის მოპოვებას. როდესაც კომპანიის წესდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას უკავშირებს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის არსებობას, ხმის უფლების მქონე წილების/აქციების უბრალო უმრავლესობის მოპოვებამ შეიძლება არ მიანიჭოს პირს სტრატეგიული გადაწყვეტილებების განსაზღვრის უფლებამოსილება, მაგრამ შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს გადაწყვეტილების დაბლოკვის უფლების მინიჭებისთვის (უარყოფითი კონტროლი).

გარკვეულ შემთხვევებში, მინორიტარული აქციების ფლობის შემთხვევაშიც შეიძლება წარმოიშვას ერთპიროვნული კონტროლი, მაგალითად:



6. ერთობლივი კონტროლი

ერთობლივი კონტროლის დროს, ორ ან მეტ პირს გააჩნია ეკონომიკურ აგენტზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. არსებითი გავლენა ამ თვალსაზრისით გულისხმობს ეკონომიკური აგენტის სტრატეგიული ან/და კომერციული ქცევის განმსაზღვრელ ქმედებებზე ვეტოს უფლებას. როგორც ერთპიროვნული კონტროლის შემთხვევაში, ერთობლივი კონტროლის მოპოვებაც ასევე, შეიძლება მოხდეს იურიდიულ ან ფაქტობრივ საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი სახეზეა, თუ ეკონომიკური აგენტის წილის მფლობელებმა თუ აქციონერებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ეკონომიკურ აგენტთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მისაღებად.

6.1. თანასწორობა ხმის უფლებაში ან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში პირთა დანიშვნებისას

ერთობლივი კონტროლის ერთ-ერთ ფორმას ჩვეულებრივ, წარმოადგენს მხოლოდ ორი პარტნიორის არსებობა, რომლებიც თანაბრად იზიარებენ ხმის უფლებას მათ მიერ კონტროლირებად კომპანიაში. ამ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, რომ მათ შორის ოფიციალური შეთანხმება არსებობდეს. თანასწორობა ასევე შეიძლება მიღწეული იქნას, როდესაც ორივე მათგანს აქვს უფლება დანიშნოს თანაბარი რაოდენობის წევრები კომპანიის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

6.2. ვეტოს უფლება

ერთობლივი კონტროლი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც ორი აქციონერი/წილის მფლობელი პირის ხმებსა ან გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წარმომადგენლებში არ არის თანასწორობა ან როდესაც არსებობს ორზე მეტი აქციონერი/წილის მფლობელი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მინორიტარ აქციონერებს/წილის მფლობელებს გააჩნიათ დამატებითი უფლებები, რაც მათ საშუალებას აძლევს ვეტო დაადონ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის სტრატეგიული კომერციული ქცევისთვის.

ვეტოს ეს უფლებები უნდა ეხებოდეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს კომპანიის ბიზნეს პოლიტიკის შესახებ. ისინი უნდა გასცდნენ ვეტოს ისეთ უფლებას, რომელიც ჩვეულებრივ ენიჭებათ მინორიტარ აქციონერებს, როგორც ინვესტორებს თავიანთი ფინანსური ინტერესების დასაცავად. ერთობლივი კონტროლის შემადგენლობის არსებობისათვის საჭირო ვეტოს უფლებები, როგორც წესი, მოიცავენ გადაწყვეტილებების დაბლოკვის უფლებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა ბიუჯეტი, ბიზნეს-გეგმა, ძირითადი ინვესტიციები ან ხელმძღვანელობის დანიშვნა. თუმცა, ერთობლივი კონტროლის არსებობისათვის არ არის აუცილებელი, რომ მის შემძენს გააჩნდეს ეკონომიკურ აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის უფლებამოსილება.

აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის დადგენა, კომპანიაზე ერთობლივი კონტროლის შემძენი პირები რეალურად გამოიყენებენ თუ არა მათზე მიკუთვნებულ მნიშვნელოვან გავლენებს. საკმარისია ასეთი გავლენის განხორციელების შესაძლებლობა და, შესაბამისად, უბრალოდ, ვეტოს უფლების ქონა.

6.3. ხმის მიცემის უფლებების ერთობლივი გამოყენება

ერთობლივი კონტროლი შეიძლება წარმოიშვას, თუ მინორიტარი აქციონერები ერთობლივად უზრუნველყოფენ სამიზნე ეკონომიკური აგენტის კონტროლის საშუალებების გამოყენებას. ეს ნიშნავს, რომ მინორიტარ აქციონერებს ერთად ექნებათ ხმათა უმრავლესობა და ერთობლივად იმოქმედებენ ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად. რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, კვლავ განპირობებული იყოს იურიდიული ან ფაქტობრივი საფუძვლებით.

ხმის მიცემის უფლების ერთობლივად განხორციელების უზრუნველყოფის სამართლებრივ საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს ერთობლივად კონტროლირებადი ჰოლდინგური კომპანია, რომელსაც მინორიტარი აქციონერები გადასცემენ თავიანთ უფლებებს, ან შეთანხმება, რომლითაც ისინი იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ იმავენაირად.

გამონაკლის შემთხვევებში, ერთობლივი კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ფაქტობრივ საფუძველზე, როდესაც მინორიტარ აქციონერებს შორის არსებობს ძლიერი საერთო ინტერესები, არ იმოქმედონ ერთმანეთის წინააღმდეგ მათზე მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.

ძლიერი საერთო ინტერესების არარსებობის პირობებში, მინორიტარ აქციონერებს შორის კოალიციების შეცვლის ალბათობა ზოგადად გამორიცხავს რეალური, ერთობლივი კონტროლის დაშვებას.

6.4. ერთობლივ კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ერთობლივი კონტროლი არ არის შეუთავსებელი იმ ფაქტთან, რომ ერთ-ერთი წილის მფლობელი/აქციონერი სარგებლობდეს კონკრეტული ცოდნითა და მეტი გამოცდილებით. ასეთ შემთხვევაში, მეორე პირმა შეიძლება შეასრულოს მოკრძალებული ან თუნდაც შეუმჩნეველი როლი ერთობლივად კონტროლირებადი სუბიექტის ყოველდღიურ მართვაში, სადაც მისი მონაწილეობა მოტივირებული იქნება კომპანიის ფინანსური, გრძელვადიანი სტრატეგიის, ბრენდის იმიჯის ან ზოგადი პოლიტიკის ხასიათის გათვალისწინებით.

ერთობლივი კონტროლის არსებობისთვის, გადამწყვეტი ხმის მიცემის უფლება არ უნდა გადაეცეს ერთ აქციონერს/წილის მფლობელს, რადგან ეს გამოიწვევს კომპანიის ერთპიროვნულ კონტროლს იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება.

7. ცვლილებები კონტროლის ხარისხში

კონცენტრაციების კონტროლი მოიცავს ოპერაციებს, რომლებიც იწვევს ეკონომიკურ აგენტზე ერთპიროვნული ან ერთობლივი კონტროლის მოპოვებას, ასევე ოპერაციებს, რომლებიც იწვევენ კონტროლის ხარისხის ცვლილებას. კონტროლის ხარისხში ცვლილებები სახეზეა, როდესაც:

- ადგილი აქვს ცვლილებას ერთპიროვნულ და ერთობლივ კონტროლს შორის, ან
- ერთობლივი კონტროლის შემთხვევაში ადგილი აქვს მაკონტროლებელი პირების რაოდენობის ან ვინაობის ცვლილებას.

თუმცა, კონტროლის ხარისხში ცვლილება არ არის სახეზე, თუკი უარყოფითი ერთპიროვნული კონტროლი იცვლება დადებითი ერთპიროვნული კონტროლით.

ერთი და იმავე პირთა წილების/აქციების რაოდენობის ცვლილება მათი უფლებამოსილებისა და კომპანიის საკონტროლო სტრუქტურის შემადგენლობის

ცვლილების გარეშე, არ წარმოადგენს კონტროლის ხარისხის ცვლილებას და, შესაბამისად, არ განიხილება შეტყობინებას დაქვემდებარებულ კონცენტრაციად.

კონტროლის ხარისხის ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი ან მეტი ახალი მაკონტროლებელი პირის შესვლით კომპანიაში ან მაკონტროლებელ პარტნიორთა რაოდენობის შემცირებით.

კომპანიაში ახალი მაკონტროლებელი პირების შესვლით ერთობლივი კონტროლის მოპოვება შეიძლება განპირობებული იყოს ერთპიროვნულიდან ერთობლივ კონტროლზე გადასვლით ან დამატებით სხვა პარტნიორის შესვლით კომპანიაში ან ეკონომიკური აგენტის ერთობლივად მაკონტროლებელი პარტნიორის ჩანაცვლებით. თუმცა, კომპანიაში ახალი აქციონერების/წილის მფლობელების შესვლა შეტყობინებას დაქვემდებარებულ კონცენტრაციად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე პირი იძენს ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნული ოპერაციების შედეგად.

მაკონტროლებელი პირების რაოდენობის შემცირება წარმოადგენს კონტროლის ხარისხში ცვლილებას და შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს კონცენტრაციად, თუ ერთი ან მეტი მაკონტროლებელი აქციონერის/წილის მფლობელის გასვლა გამოიწვევს ცვლილებას ერთობლივი კონტროლიდან ერთპიროვნულ კონტროლზე. როდესაც ერთობლივად მაკონტროლებელი პირების რაოდენობის შემცირება არ იწვევს ერთობლივი კონტროლიდან ერთპიროვნულ კონტროლზე გადასვლას, ტრანზაქცია ჩვეულებრივ არ იქნება მიჩნეული სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებულ კონცენტრაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება მათი უფლებამოსილებისა და კომპანიის საკონტროლო სტრუქტურის შემადგენლობის ცვლილებას იწვევს.

8. ერთობლივი საწარმოები - სრული ფუნქციონირების კონცეფცია

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ კონცენტრაციას ასევე წარმოადგენს ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

ერთობლივი საწარმოს შექმნა წარმოადგენს კონტროლის მოპოვების სპეციფიკურ ფორმას (როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილში). თუმცა, როგორც სახელწოდება „ერთობლივი საწარმო“ მიგვანიშნებს, საჭიროა, არსებობდეს სულ მცირე ორი „მაკონტროლებელი პირი“, რომელთაგან თითოეული იძენს კონტროლს ერთობლივ საწარმოზე.

შედეგად, ერთობლივი საწარმო იქნება პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ, როდესაც ორ ან მეტ პირს აქვს ეკონომიკურ აგენტზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა (როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილში).

იმისათვის, რომ ერთობლივი საწარმოს შექმნა წარმოადგენდეს კონცენტრაციას, არ აქვს მნიშვნელობა არის თუ არა იგი შექმნილი „გრინფილდის ოპერაციების“ სახით, თუ

მხარეები შედიან ერთობლივ საწარმოში აქტივებით, რომლებსაც ადრე ინდივიდუალურად ფლობდნენ.

ქვემოთ ჩამოთვლილია საკითხები, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა ერთობლივ საწარმოს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ფუნქციები, ე.ი. არის თუ არა ერთობლივი საწარმო სრულად ფუნქციონირებადი.

იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ მითითებული კრიტერიუმები არ იქნება დაკმაყოფილებული, „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამგვარი ერთობლივი საწარმოს შექმნა არ განიხილება კონცენტრაციად, და, შესაბამისად, არ დაექვემდებარება სააგენტოსათვის სავალდებულო შეტყობინებას.

8.1 საკმარისი რესურსები ბაზარზე დამოუკიდებლად ოპერირებისათვის

მოცემული კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად ერთობლივ საწარმოს უნდა გააჩნდეს:

- ყოველდღიური საქმიანობით დაკავებული ხელმძღვანელობა; და
- საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობა³ მათ შორის:
 - ფინანსები;
 - აქტივები (მატერიალური და არამატერიალური);
 - პერსონალი (საკუთარი თანამშრომლების რეკრუტირების თავისუფლება ან პერსონალის დაქირავება მესამე მხარის მეშვეობით)⁴.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთობლივი საწარმო ვერ შეძლებს გრძელვადიანი საქმიანობის განხორციელებას შესაბამის ტერიტორიაზე.

8.2. მშობელი კომპანიის კონკრეტული ფუნქციის გარდა წარმოებული სხვა საქმიანობები

ერთობლივი საწარმოს საქმიანობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მშობელი კომპანიების ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში ერთი კონკრეტული ფუნქციით, თუ ერთობლივ საწარმოს არ ექნება წვდომა ბაზარზე ან არ აპირებს იყოს მასზე წარმოდგენილი. ამგვარი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: კვლევა-

³ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სრულფასოვანი ერთობლივი საწარმოს მიერ რესურსების ფლობა არ არის აუცილებელი. მაგალითად, ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისია კომპანიას გააჩნდეს ექსკლუზიური წვდომა მშობელი კომპანიების საწარმოო ერთეულებზე ან მშობელი კომპანიის მიერ მინიჭებული ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომელიც აუცილებელია ერთობლივი საწარმოს ძირითადი საქმიანობისთვის.

⁴ არ არის აუცილებელი პერსონალის დასაქმება საკუთრივ ერთობლივ საწარმოში. თუ ეს არის სტანდარტული პრაქტიკა ინდუსტრიაში, სადაც ერთობლივი საწარმო ოპერირებს, შეიძლება საკმარისი იყოს, თუ მესამე მხარე ითვალისწინებს პერსონალის დაკომპლექტებას შრომითი ხელშეკრულებით, ან თუ პერსონალი დაინიშნება დასაქმების სააგენტოს მიერ. მშობელი კომპანიების მიერ პერსონალის მივლინება ასევე შეიძლება საკმარისი იყოს, თუ ეს ხდება მხოლოდ საწყისი პერიოდისთვის, ან თუ ერთობლივი საწარმო ურთიერთობს მშობელი კომპანიასთან ისევე, როგორც მესამე მხარესთან.

განვითარება, წარმოება, მარკეტინგი, გაყიდვები (მაგალითად, ერთობლივი საწარმო ასრულებს აგენტის როლს მისი მშობელი კომპანიებისთვის) და ა.შ.

თუ ერთობლივი საწარმო სრულად ფუნქციონირებადია თუ იგი ფუნქციონირებს მშობელი სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად და საკუთარი სახელით მოქმედებს ბაზარზე.

8.3. ყიდვა/გაყიდვის ურთიერთობა მშობელ კომპანიასთან

მშობელი კომპანიების ძლიერი წარმომადგენლობა ზედა ან ქვედა დონის ბაზრებზე არის ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ერთობლივი საწარმოს სრულფასოვანი ფუნქციონირების შეფასებისას, განსაკუთრებით, თუ ეს წარმომადგენლობა იწვევს მნიშვნელოვან გაყიდვებს ან შესყიდვებს მშობელი და ერთობლივ საწარმოებს შორის.

საქმიანობის დაწყების მხოლოდ საწყისი პერიოდისთვის, ერთობლივი საწარმო თითქმის მთლიანად ეყრდნობა მისი მშობელი კომპანიების გაყიდვებს ან შესყიდვებს, მაგრამ ეს ჩვეულებრივ გავლენას არ ახდენს მის სრულყოფილად ფუნქციონირებაზე. ეს საწყისი პერიოდი შესაძლოა საჭირო გახდეს ბაზარზე ერთობლივი საწარმოს დასაარსებლად.

სავაჭრო ბაზარზე სრული ფუნქციონირების მქონე ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად, მას უნდა გააჩნდეს საჭირო ინფრასტრუქტურა და, სავარაუდოდ, მიწოდების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა იღებდეს არა მხოლოდ მშობელი კომპანიებისგან, არამედ სხვა კონკურენტი წყაროებიდანაც.

8.4. ფუნქციონირება მუდმივ რეჟიმში

ერთობლივი საწარმოს სრულად ფუნქციონირებისთვის მიზანი უნდა იყოს მისი გრძელვადიანი ოპერირება. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ წესდება ითვალისწინებს ერთობლივი საწარმოს დაშლას მშობელ კომპანიებს შორის წარუმატებლობის ან ძირეული უთანხმოების შემთხვევაში, თავისთავად არ გულისხმობს, რომ ერთობლივი საწარმო არ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს. ბაზარზე ხანგრძლივად მონაწილეობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ სპეციფიკური, მოკლევადიანი პროექტის განხორციელებით შექმნილი ერთობლივი საწარმო არ ჩაითვლება კონცენტრაციად.

ერთობლივი საწარმოს არსებობის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან დროში შეზღუდული. თუ ერთობლივი საწარმოს საქმიანობა შეზღუდული იქნება დროში, ზოგადად ასეთი საქმიანობის ხანგრძლივობა საკმარისი უნდა იყოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების სტრუქტურაში ხანგრძლივი ცვლილებების მისაღწევად, ან როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი საწარმოს შესაძლო გაგრძელებას ამ პერიოდის შემდეგ.

ეკონომიკური სექტორებიდან გამომდინარე, რომელშიც ერთობლივ საწარმოს უწევს საქმიანობა, ეს კრიტერიუმი შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, თუ საქმიანობის დაწყება ექვემდებარება ხელისუფლების მხრიდან დამტკიცებას ან თუკი არსებობს საქმიანობის დაწყებისათვის სხვა წინაპირობები. მაგალითად, ერთობლივმა საწარმომ უნდა მიიღოს ნებართვა/ლიცენზია, მოიპოვოს ინტელექტუალური საკუთრების უფლება, საკუთრებაზე

წვდომის უფლება ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ერთობლივ საწარმოს საშუალებას აძლევს დაიწყოს თავისი ძირითადი ბიზნეს საქმიანობა. ამგვარი წინაპირობების არსებობა არ წარმოადგენს ფორმალობას, ვინაიდან, მათ გარეშე კომპანია მოკლებული იქნება შესაძლებლობას, განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა რაც წარმოადგენს მისი შექმნის თავდაპირველ მიზანს. ამდენად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიიღება ხელისუფლების სათანადო ორგანოების ან იმ პირების მიერ, რომელთა გადაწყვეტილებაც იძლევა საქმიანობის დაწყების საშუალებას, შესაბამისი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.

8.5. ცვლილებები ერთობლივი საწარმოს საქმიანობაში

წილის მფლობელებმა შეიძლება საჭიროებისამებრ გადაწყვიტონ ერთობლივი საწარმოს საქმიანობის სფეროს შეცვლა. მაგალითად, ერთობლივი საწარმოს მეშვეობით სხვა ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვებამ ან ამ აგენტის აქტივების შექმნამ არაპირდაპირი გზით, შეიძლება გამოიწვიოს შეტყობინების საჭიროება, თუ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის პირობები დაკმაყოფილებულია.

ასევე, კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, თუ აქციონერები/წილის მფლობელები ერთობლივი საწარმოს გადასცემენ მნიშვნელოვან დამატებით აქტივებს, კონტრაქტებს, საწარმოო გამოცდილებას ან სხვა უფლებებს რომლებიც წარმოადგენენ ერთობლივი საწარმოს საქმიანობის გაფართოების საფუძველს და რომლებიც ერთობლივი საწარმოს საქმიანობას გააფართოვებენ სხვა პროდუქციულ ან გეოგრაფიულ საზღვრებზე, რომლებიც არ იყო თავდაპირველი ერთობლივი საწარმოს ინტერესის საგანი. ამ შემთხვევაში, ერთობლივი საწარმოს მოქმედების გაფართოების უკან რეალური მოთამაშეებად გვევლინებიან პარტნიორები. ერთობლივი საწარმოს საქმიანობის გაფართოება შეიძლება განიხილებოდეს ისევე, როგორც ახალი ერთობლივი ერთეულის შექმნა.

თუ ერთობლივი საწარმოს ფარგლები გაფართოვდება დამატებითი აქტივების, კონტრაქტების, საწარმოო გამოცდილების ან უფლებების გადაცემის გარეშე, ეს კონცენტრაციად არ ჩაითვლება.

და ბოლოს, კონცენტრაციას ადგილი აქვს თუ არსებული არასრულად ფუნქციონირებადი ერთობლივი საწარმოს საქმიანობაში ცვლილება ხორციელდება იმგვარად, რომ იქმნება სრულად ფუნქციონირებადი ერთობლივი საწარმო. მაგალითად, ერთობლივმა საწარმომ, რომელიც ადრე აწვდიდა პროდუქტებს მხოლოდ მშობელ კომპანიებს, შემდგომში დაიწყო აქტიური საქმიანობა ბაზარზე.

9. ზღვრული კრიტერიუმები

ზღვრული კრიტერიუმები წმინდა რაოდენობრივი ხასიათისაა, რადგან ისინი ეფუძნება მხოლოდ ერთობლივი შემოსავლების გამოთვლებს და არა ბაზრის წილს ან სხვა კრიტერიუმებს. მათი მიზანია, შექმნას მარტივი და ობიექტური მექანიზმი, რომელიც

ადვილად იქნება გამოყენებული კონცენტრაციის პროცესში ჩართული პირების მიერ, რათა დაადგინონ ექვემდებარება თუ არა მათი ტრანზაქცია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას.

, ყველა ტრანზაქცია, რომელიც „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით წარმოადგენს კონცენტრაციას, არ ექვემდებარება სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას. განსახილველად წარდგენილი უნდა იქნას შეტყობინებები მხოლოდ იმ კონცენტრაციების შესახებ, რომლებიც მიჩნეულია, რომ აკმაყოფილებს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანებით დამტკიცებული „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ზღვრულ კრიტერიუმებს.

ზღვრული კრიტერიუმების ტესტი შემდეგნაირად გამოიყურება:

- წინა ფინანსურ წელს საქართველოს ტერიტორიაზე კონცენტრაციაში მონაწილე პირების კუმულაციური (ჯამური) წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 20 მილიონ ლარს; და
- წინა საფინანსო წელს საქართველოს ტერიტორიაზე კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს.

მაგალითი

კონკრეტულ კონცენტრაციაში შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტი შესაბამისი პირი. მაგალითად, ხუთი სუბიექტი გადაწყვეტს იყიდოს ერთი კომპანიის აქციების 100 პროცენტი (არ აქვს მნიშვნელობა, აქციები შეძენილია თუ არა თანაბარი პროპორციით). შესაბამისად, მეორე ზღვრული კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისია, რომ ექვსი პირიდან მხოლოდ ორის (მაგალითად, ორი შემსყიდველი ან ერთი შემძენი სუბიექტი და სამიზნე კომპანია) ერთობლივი შემოსავალი კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლისათვის აღემატებოდეს 5 მილიონილარს და ამასთან, ყველა მონაწილე სუბიექტის ერთობლივი შემოსავლების ჯამი კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლისათვის აღემატებოდეს 20 მილიონ ლარს

9.1. დაინტერესებული ეკონომიკური აგენტის ცნება

დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ ისეთ სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ კონცენტრაციაში, ანუ შერწყმაში ან კონტროლის მოპოვებაში (მათ შორის კონტროლის მოპოვების სსპეციფიურ ფორმაში - ერთობლივი საწარმოს შექმნაში) „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მას შემდეგ, რაც კონკრეტულ ტრანზაქციაში მოხდება დაინტერესებული ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირება, მათი ერთობლივი შემოსავალი გამოითვლება წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამ

ეკონომიკური აგენტების მთლიანი და ინდივიდუალური ერთობლივი შემოსავალი გადაწყვეტი იქნება იმის დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების წარდგენის ვალდებულების წარმოშობისათვის დადგენილი ზღვრული კრიტერიუმები.

9.1.1. შერწყმა

შერწყმისას, დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს გაერთიანებულ სუბიექტთაგან თითოეული.

მაგალითი

კომპანია A და კომპანია B გადაწყვეტენ გაერთიანებას. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებად ითვლებიან A და B კომპანიები. ერთობლივი შემოსავლის გაანგარიშების მიზნით, თითოეული კომპანიის ერთობლივი შემოსავალი გამოითვლება მათი და მათთან დაკავშირებული სუბიექტების ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით (კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანებით დამტკიცებული „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად).

9.1.2. კონტროლის მოპოვება

„კონტროლის მოპოვების“ კონცეფცია განსაზღვრავს თუ რომელი პირები ჩაითვლებიან დაინტერესებულ სუბიექტებად. როგორც აღინიშნა, კონტროლი შეიძლება მოპოვებულ იქნას ერთი ან მეტი პირის მიერ, რომელიც/რომლებიც იძენს/იძენენ ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს. ამასთან, კონტროლი შეიძლება მოპოვებულ იქნას ერთ ან მეტ ეკონომიკურ აგენტზე მთლიანად ან ნაწილობრივ. როგორც წესი, თითოეული ამ პირთაგანი ჩაითვლება დაინტერესებულ პირად.

მაგალითად, კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, კონცენტრაციაში მონაწილე პირად ითვლება:

- ეკონომიკურ აგენტზე სრული კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, კონცენტრაციაში მონაწილეებად ითვლებიან პირები, რომლებიც მოიპოვებენ კონტროლს და ეკონომიკური აგენტები, რომლებზეც მოიპოვება კონტროლი ამ პირთა მიერ; საწარმოს ნაწილზე ან ნაწილებზე კონტროლის მოპოვების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა ისინი დამოუკიდებელი ერთეულები არიან თუ არა), კონცენტრაციის მონაწილეები არიან პირები, რომლებიც მოიპოვებენ კონტროლს და ეკონომიკური აგენტის ის ნაწილი ან აქტივები, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება.
- თუ ერთობლივი კონტროლი შეიცვალა ერთპიროვნული კონტროლით, კონცენტრაციის მონაწილეა ის პირი, რომელიც მოიპოვებს ტრანზაქციის შედეგად

ერთპიროვნულ კონტროლს და ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ამ პირმა ერთპიროვნული კონტროლი მოიპოვა;

- თუ ეკონომიკური აგენტის, რომელიც კონცენტრაციამდე იყო ერთობლივი კონტროლის ქვეშ, კონტროლის ხარისხი იცვლება ტრანზაქციის შედეგად, მაგრამ კონტროლი კვლავ ერთობლივი რჩება, კონცენტრაციაში მონაწილე პირად მიიჩნევა თითოეული სუბიექტი (არსებული და ახალი აქციონერი/წილის მფლობელი), რომელიც იძენს ერთობლივ კონტროლს და ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც მოიპოვება ერთობლივი კონტროლი.
- თუ ერთპიროვნული კონტროლი იცვლება ერთობლივი კონტროლით, როდესაც სხვა სუბიექტები იძენენ ერთობლივ კონტროლს იმ პირისაგან, რომელსაც ერთპიროვნული კონტროლი გააჩნდა ეკონომიკურ აგენტზე, ხოლო ეს სუბიექტი ტოვებს კომპანიას, კონცენტრაციაში მონაწილე პირად ჩაითვლება თითოეული ახალი ერთობლივი კონტროლის მომპოვებელი სუბიექტი და ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც მოპოვებულია ერთობლივი კონტროლი;
- თუ ერთპიროვნული კონტროლი იცვლება ერთობლივი კონტროლით, იმგვარად, რომ ახალი სუბიექტ(ებ)ი იძენს/იძენენ ერთობლივ კონტროლს იმ პირთან ერთად, რომელსაც კონცენტრაციის განხორციელებამდე გააჩნდა ერთპიროვნული კონტროლი, კონცენტრაციაში მონაწილედ ითვლება ყველა ის პირი, რომელიც იძენს ერთობლივ კონტროლს, ხოლო ეკონომიკური აგენტი, რომლის კონტროლის მოპოვებაც ხდება, არ ითვლება კონცენტრაციის მონაწილედ;
- ახლად შექმნილ ეკონომიკურ სუბიექტზე (კომპანიაზე) ერთობლივი კონტროლის მოპოვების შემთხვევაში (თუ ახალი ეკონომიკური სუბიექტი არ ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას), კონცენტრაციის მონაწილედ გამოდის თითოეული პირი, რომელიც იძენს კონტროლს ახლად შექმნილ ეკონომიკურ სუბიექტზე. კონცენტრაციის მონაწილედ არ ითვლება ახლად შექმნილი ეკონომიკური სუბიექტი, რომელზეც კონტროლის მოპოვებაც ხდება;
- თუ კონტროლს იძენს ერთობლივი საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ასრულებს დამოუკიდებელი სუბიექტის ფუნქციებს, მაშინ კონცენტრაციაში მონაწილე პირებად მიიჩნევიან ამგვარი ერთობლივი საწარმოს მკონტროლებელი სუბიექტები და ის ეკონომიკური აგენტები, რომელთა კონტროლის მოპოვებაც ხდება;

მაგალითები (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს მაგალითები არ განიხილავს, მოიპოვებს თუ არა პირი კონტროლს ან აკმაყოფილებენ თუ არა შესაბამისი სუბიექტები ერთობლივი შემოსავლის ზღვრულ კრიტერიუმებს; ეს მაგალითები მოცემულია მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იდენტიფიცირდება დაინტერესებული პირი სხვადასხვა გარიგებებში)

No. 1

კომპანია A-მ გადაწყვიტა შეეძინა B კომპანიის 100 პროცენტი. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები არიან კომპანია A და კომპანია B.

No. 2

კომპანია A და კომპანია B არიან მშობელი კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი კომპანია C-ზე.

- კომპანია A-მ გადაწყვიტა თავისი წილების/აქციების მიყიდვა კომპანია D-სთვის. ამდენად, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები არიან კომპანია D, C და B (კომპანია A არ წარმოადგენს დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს, რადგან მას არ ექნება კონტროლი ერთობლივ კომპანია C-ზე).
- კომპანია A-მ და კომპანია B-მ გადაწყვიტეს თავიანთი აქციების ნაწილის მიყიდვა ახალ კომპანია D-ზე. ყველა მათგანი (A, B და D) ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ყველა აღნიშნული სუბიექტი განახორციელებს ერთობლივ კონტროლს კომპანია C-ზე. ამ შემთხვევაში დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები არიან კომპანია A, კომპანია B და კომპანია D (ერთობლივი კომპანია არ განიხილება როგორც დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი).

No. 3

ფიზიკურმა პირმა A-მ, რომელიც უკვე აკონტროლებს ერთ ეკონომიკურ აგენტს, გადაწყვიტა შეეძინოს კომპანია B-ს 50% ფიზიკური პირი C-საგან. ფიზიკური პირი A და ფიზიკური პირი C გააფორმებენ ხელშეკრულებას კომპანია B-ს ერთობლივი კონტროლის შესახებ. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული პირები არიან ფიზიკური პირი A და ფიზიკური პირი C (კომპანია B არ არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რადგან ის რჩება C ფიზიკური პირის კონტროლის ქვეშ და, შესაბამისად, B კომპანიის მთელი მოგება მიეკუთვნება C ფიზიკურ პირს).

No. 4

ფიზიკურ პირებს A, B და C გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი კომპანია D-ზე. კომპანია D არის სრულად ფუნქციონირებადი ერთობლივი საწარმო, რომელიც იძენს კომპანიას E-ს. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები არიან კომპანია D და კომპანია E (თუ კომპანია D არ არის სრულად ფუნქციონირებადი, მის ნაცვლად დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები A, B, C და კომპანია E).